

შპს „ედელვასი 2013“

ს/კ 443857907

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ერთეულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	2021	2020	2019
მიმდინარე აქტივები		466011	373012	246402
ფული და ფულის ეკვივალენტები	4.1	412655	324295	191846
სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები	4.2	53355	48717	54556
მარაგები		769373	500664	402932
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	4.3	769373	500664	402932
ძირითადი საშუალებები		435219	448085	421205
მიწა	4.4	318828	318828	318828
შენობა-ნაგებობები	4.4	48454	53492	58530
სხვა ძირითადი საშუალებები	4.4	67188	74864	42584
არამატერიალური აქტივები	4.5	749	901	1263
სულ აქტივები		1670602	1321762	1070539
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	4.7	174716	104911	55402
საგადასახადო ვალდებულებები	4.8	31233	8082	14633
ბანკებისგან წასესხები თანხები	4.9	571862	614647	643504
სულ ვალდებულებები		777811	727640	713539
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4.10	892791	594122	357000
სულ საკუთარი კაპიტალი		892791	594122	357000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1670602	1321762	1070539

შპს „ედელვასი 2013“-ის დირექტორი

/დ. ზაზიკაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

/ქ. მაისურაძე/

შპს „ედელვაისი 2013“

ს/კ 443857907

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ერთეულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	2021	2020	2019
მიმდინარე აქტივები		466011	373012	246402
ფული და ფულის ეკვივალენტები	4.1	412655	324295	191846
სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები	4.2	53355	48717	54556
მარაგები		769373	500664	402932
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	4.3	769373	500664	402932
ძირითადი საშუალებები		435219	448085	421205
მიწა	4.4	318828	318828	318828
შენობა-ნაგებობები	4.4	48454	53492	58530
სხვა ძირითადი საშუალებები	4.4	67188	74864	42584
არამატერიალური აქტივები	4.5	749	901	1263
სულ აქტივები		1670602	1321762	1070539
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	4.7	174716	104911	55402
საგადასახადო ვალდებულებები	4.8	31233	8082	14633
ბანკებისგან ნასესხები თანხები	4.9	571862	614647	643504
სულ ვალდებულებები		777811	727640	713539
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4.10	892791	594122	357000
სულ საკუთარი კაპიტალი		892791	594122	357000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1670602	1321762	1070539

შპს „ედელვაისი 2013“-ის დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/დ. ზაზიკაშვილი/

/ქ. მაისურაძე/

შპს „ედელვასი 2013“

ს/კ 443857907

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ერთეულ ლარში)

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ნეტო ამონაგები		4280667	3191329
საქონლის გაყიდვიდან	5.1	4269250	3169119
მომსახურების გაწევიდან	5.1		
სხვა	5.1	11418	22210
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3573856)	(2605265)
საწყისი მარაგები	4.3	(500664)	(402932)
მარაგების შესყიდვა		(3842564)	(2702998)
საბოლოო მარაგები	4.3	769373	500664
საერთო მოგება		706812	586064
დასაქმებულთა ანაზღაურება	5.3	(204651)	(186706)
ცვეთა და ამორტიზაცია	5.4	(14227)	(12371)
საპროცენტო ხარჯი	5.5	(67545)	(51715)
იჯარის ხარჯი	5.6	(75000)	(69938)
სხვა ხარჯები	5.7	(32220)	(28212)
სულ საოპერაციო ხარჯები		(393643)	(348942)
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		313169	237122
მოგების გადასახადი	5.8	16	0
მოგება/(ზარალი)		313153	237122
საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული		579639	357000
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)		594122	357000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	5.8	(14483)	0
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		892791	594122

შპს „ედელვასი 2013“-ის დირექტორი

/დ. ზაზიკაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

/ქ. მაისურაძე/

შპს „ედელვაისი 2013“

ს/კ 443857907

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ერთეულ ლარში)

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ნეტო ამონაგები		4280667	3191329
საქონლის გაყიდვიდან	5.1	4269250	3169119
მომსახურების გაწევიდან	5.1		
სხვა	5.1	11418	22210
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3573856)	(2605265)
საწყისი მარაგები	4.3	(500664)	(402932)
მარაგების შესყიდვა		(3842564)	(2702998)
საბოლოო მარაგები	4.3	769373	500664
საერთო მოგება		706812	586064
დასაქმებულთა ანაზღაურება	5.3	(204651)	(186706)
ცვეთა და ამორტიზაცია	5.4	(14227)	(12371)
საპროცენტო ხარჯი	5.5	(67545)	(51715)
იჯარის ხარჯი	5.6	(75000)	(69938)
სხვა ხარჯები	5.7	(32220)	(28212)
სულ საოპერაციო ხარჯები		(393643)	(348942)
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		313169	237122
მოგების გადასახადი	5.8	16	0
მოგება/(ზარალი)		313153	237122
საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული		579639	357000
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)		594122	357000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	5.8	(14483)	0
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		892791	594122

შპს „ედელვაისი 2013“-ის დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/დ. ზაზიკაშვილი/

/ქ. მაისურაძე/

შპს „ედელვასი 2013“

ს/კ 443857907

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ერთეულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

#	დასახელება	2021 წ
	<u>შემოსავალი</u>	
1	შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5044904
	სულ შემოსავალი:	5044904
	<u>გასავალი</u>	
1	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა	-4444403
2	გადახდილი ხელფასები	-171903
3	გადახდილი დივიდენდი	-13759
4	ფ/პ-ს მიერ გაწეული მომსახურება	-3005
5	გადახდილი გადასახადები	-128405
6	სესხის გადახდა	-42785
7	გადახდილი %	-67545
8	ბანკის მომსახურების ხარჯი	-1528
9	იჯარა	-60000
10	მომსახურების ხარჯი	-424
11	საპენსიო ანარიცხი	-4102
12	კომუნალური გადასახადები	-12895
13	საკანცელარიო და საოფისე ხარჯი	-2891
14	ძ/ს მიმდინარე საექსპლუატაციო რემონტის ხარჯი	-756
15	სამეურნეო ხარჯი	-1595
16	სადეზინფ. და სანიტ საშუალებები	-341
17	წარმომადგენლობითი ხარჯი	-207
	სულ გასავალი:	-4956544
18	ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისში	324295
19	ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	412655

შპს „ედელვასი 2013“-ის დირექტორი

/დ. ზაზიკაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

/ქ. მაისურაძე/

შპს „ედელვაისი 2013“

ს/კ 443857907

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ერთეულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

#	დასახელება	2021 წ
	<u>შემოსავალი</u>	
1	შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5044904
	სულ შემოსავალი:	5044904
	<u>გასავალი</u>	
1	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა	-4444403
2	გადახდილი ხელფასები	-171903
3	გადახდილი დივიდენდი	-13759
4	ფ/პ-ს მიერ გაწეული მომსახურება	-3005
5	გადახდილი გადასახადები	-128405
6	სესხის გადახდა	-42785
7	გადახდილი %	-67545
8	ბანკის მომსახურების ხარჯი	-1528
9	იჯარა	-60000
10	მომსახურების ხარჯი	-424
11	საპენსიო ანარიცხი	-4102
12	კომუნალური გადასახადები	-12895
13	საკანცელარიო და საოფისე ხარჯი	-2891
14	ძ/ს მიმდინარე საექსპლუატაციო რემონტის ხარჯი	-756
15	სამეურნეო ხარჯი	-1595
16	სადეზინფ. და სანიტ საშუალებები	-341
17	წარმომადგენლობითი ხარჯი	-207
	სულ გასავალი:	-4956544
18	ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისში	324295
19	ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	412655

შპს „ედელვაისი 2013“-ის დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/დ. ზაზიკაშვილი/

/ქ. მაისურაძე/

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ედელვასი 2013“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და ხაშურის საგადასახადო ინსპექციის მიერ რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2013 წლის 2 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით: 443857907, რეგისტრაციის ნომერი B13097338.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო-საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ქ. ხაშური, ვ. ტერეშკოვას ქ. #17, ხოლო ფაქტიური – ქ. ხაშური, იმერეთის ქ. #14.

კომპანიის დამფუძნებელი დავით ზაზიკაშვილი (100%) ასევე ჩართულია კომპანიის მართვაში.

2. მომზადების საფუძველი

შპს „ედელვასი 2013“-ის ფინანსური ანგარიშგება დამუშავდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით კალენდარულ წელს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს კომპიუტერული პროგრამა „ორის-ბუღალტერის“ მეშვეობით.

პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი, შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშო პერიოდებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
4. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

4. განმარტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესახებ

4.1 ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტი მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	411374	303815	183334
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	1281	20480	8512
ჯამი:	412655	324295	191846

4.2 სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო დებიტორული ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია საქონლის გასაყიდი ფასის ოდენობით. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები წარმოიშობა ჩვეულებრივ სავაჭრო ურთიერთობებში ზეპირი გარიგების შედეგად და მათი ოდენობა განისაზღვრება ვაჭრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხების ანგარიშის მეშვეობით. როდესაც სავაჭრო მოთხოვნის ამოღება შეუძლებლად ითვლება, იგი ჩამოიწერება ანარიცხების ანგარიშის გამოყენებით. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

4.3 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და გადმოტვირთვა-დატვირთვასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით.

მარაგების თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო შეწონილი“.

საქონლის დეფექტურად და დაზიანებულად ცნობის შემთხვევაში ხდება ჩამოფასება შესაძლო სარეალიზაციო ღირებულებამდე და მისი გაყიდვა ფასდაკლებით.

დამატებითი ანალიზური აღრიცხვა ხორციელდება სხვა კომპიუტერული პროგრამითაც.

4.4 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღირების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით - თვითღირებულებით, რაც მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მიწა და შენობა-ნაგებობები აღირიცხება განცალკევებულად. თუ ისინი ერთად არის შეძენილი, მათი ღირებულება გაიმიჯნება ექსპერტული შეფასების გზით.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღირების შემდეგ აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი,

რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც პერიოდის ხარჯი მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებია:

- შენობა-ნაგებობები - 10-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი
- საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი - 5-10 წელი

ძირითადი საშუალების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით - თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	დაუმთავ რებელი მშენებლობა	სატრან სპორტო საშუალე ბები	ავეჯი და ოფისის აღჭურვი ლობა	იჯარით აღებული ქონების კეთილ მოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2020	318,828	67,702	27,799	35,068	22,550	9,210	481,156
შემოსვლა	-	-	-	-	758	603	1,361
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	318,828	67,702	27,799	35,068	23,308	9,812	482,518
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2020	-	(14,209)	-	(2,831)	(11,653)	(5,279)	(33,972)
პერიოდის ცვეთა	-	(5,038)	-	(4,425)	(2,878)	(1,734)	(14,075)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	(19,248)	-	(7,256)	(14,531)	(7,013)	(48,047)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2020	318,828	53,492	27,799	32,237	10,897	3,931	447,184
31 დეკემბერი 2021	318,828	48,454	27,799	27,812	8,777	2,800	434,470

4.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, კერძოდ, პროგრამული უზრუნველყოფა მოცემულია ისტორიული ღირებულებით, რასაც შემდგომ აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია. არამატერიალურ აქტივს გააჩნია განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა.

ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა უზრუნველყოფილ იქნას თვითღირებულების დადგენა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრება კომპანიის მიერ და შეადგენს 5(ხუთ) წელს.

არამატერიალური აქტივის აღიარება შეწყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აისახება ნარჩენი ღირებულებით თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით.

	არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2020	3,905	3,905
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2021	3,905	3,905
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი 2020	(3,004)	(3,004)
პერიოდის ცვეთა	(152)	(152)
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2021	(3,156)	(3,156)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2020	901	901
31 დეკემბერი 2021	749	749

4.6 გაუფასურება

ანგარიშგების თითოეული თარიღისათვის კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმ აქტივების გაუფასურების ნიშნები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას. აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება ფასდება გაუფასურებაზე. აქტივის გაუფასურების ზარალის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

საანგარიშგებო პერიოდისთვის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მის სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები მოიცავს ვაჭრობის შედეგად გამომუშავებულ თანხებს, რომლის გადახდაც მოხდება მომდევნო პერიოდში.

4.8 საგადასახადო ვალდებულებები

კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად.

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით.

საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ საგადასახადო ვალდებულებას მოიცავს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც ბალანსში აისახება პერიოდის ბოლოს: გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, დარიცხული ქონების გადასახადი, რომლის გადახდაც ხდება მომდევნო საანგარიშო პერიოდში, არაუგვიანეს 1 აპრილისა და დარიცხული დასუფთავების მოსაკრებელი, რომლის გადახდაც ხდება მომდევნო თვის დასაწყისში.

4.9 სესხები

ბანკისგან ნასესხები თანხების საწყისი აღიარება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით, გარიგებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით.

სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც იქნა გაწეული.

ნასესხები სახსრები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხის პირობები:

ბანკის დასახელება	ვალუტა	ხელშეკრულების თარიღი	დაფარვის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2021წ
სს "თიბისი ბანკი"	GEL	12.03.2018	05.05.2029	13%	342,710
სს "თიბისი ბანკი"	GEL	12.03.2018	05.05.2029	13%	62,082
სს "თიბისი ბანკი"	GEL	26.12.2018	04.05.2029	13%	167,069
სულ ნასესხები სახსრები:					571,862

4.10 გაუნაწილებელი მოგება

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში. კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

5. განმარტებითი შენიშვნები საქმიანობის შედეგების ანგარიშგების შესახებ

კომპანიის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

5.1 შემოსავლის აღიარება

შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს.

	2021წ
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	4,269,250
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11,418
ჯამი:	4,280,667

5.2 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწვევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

5.3 დასაქმებულთა ანაზღაურება

ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო და სხვა არსებული გადასახადით დაბეგრული ხელფასი გაიცემა ეროვნულ ვალუტაში მუშაკის პირად საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით ან ხელზე გაცემით, რაც დასტურდება შესაბამის უწყისზე ხელმოწერით.

5.4 ცვეთა

ცვეთის აღიარება ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით.

5.5 საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე.

5.6 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

კომპანიას საოპერაციო იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი, სადაც იგი ამჟამად ახორციელებს თავის ძირითად საოპერაციო საქმიანობას. საიჯარო ხელშეკრულება არ ექვემდებარება გაუქმებას და განახლებადია მომავალ პერიოდებშიც.

საოპერაციო იჯარის გადასახადი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 75000 (სამოცდათხუთმეტიათასი) ლარს, 2021 წელს ჩათვლილია ხარჯებში.

5.7 სხვა ხარჯი

<u>დასახელება</u>	<u>თანხა</u>
ავტომობილთა მისამართი რემონტი	821
საგრანსპორტო მომსახურების ხარჯი	101
სოციალური დანარიცხები	2,037
საოფისე ხარჯი	7
სატელეფონო მომსახურება	1,114
კომპიუტერის ხარჯები	124
მომსახურების ხარჯები	797
დასუფთავების მოსაკრებელი	675
ქონების გადასახადი	1,228
მიწაზე ქონების გადასახადი	1,020
ბანკის ხარჯი	9,542
საკანცელარიო ხარჯი	2,636
სსიპ 112 მომსახურება	5
ელექტრო ენერგიის ხარჯი	3,464
საღარიბ აპარატის მომსახურების	222
სამეურნეო ხარჯი	1,352
გამომომარაგების ხარჯი	6,521
წარმომადგენლობითი ხარჯი	176
სადემინფექციო და სანიტარული ხარჯი	378
	32,220

5.8 მოგების გადასახადი

დივიდენდების განაწილებაზე დაკისრებული მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც დივიდენდის დეკლარირების პერიოდში მოგების გადასახადზე გაწეული ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდში დამფუძნებელზე გაიცა დივიდენდი 14,483.05(თოთხმეტიათასოთხას ოთხმოცდასამი ლარი და 05 თეთრი) ლარის ოდენობით, რომლის მოგების გადასახადმა ე.წ. „ესტონური მოდელით“ გამოთვლის საფუძველზე შეადგინა 15.92(ასორმოდათექვსმეტი ლარი და 92 თეთრი) ლარი.

6. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასაველებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 17 სექტემბერს.

შპს „ედელვასი 2013“-ის დირექტორი

/დ. ზაზიკაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

/ქ. მაისურაძე/

5.8 მოგების გადასახადი

დივიდენდების განაწილებაზე დაკისრებული მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც დივიდენდის დეკლარირების პერიოდში მოგების გადასახადზე გაწეული ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდში დამფუძნებელზე გაიცა დივიდენდი 14,483.05(თოთხმეტიათასოთხას ოთხმოცდასამი ლარი და 05 თეთრი) ლარის ოდენობით, რომლის მოგების გადასახადმა ე.წ. „ესტონური მოდელით“ გამოთვლის საფუძველზე შეადგინა 15.92(ასორმოდათექვსმეტი ლარი და 92 თეთრი) ლარი.

6. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასავლებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 17 სექტემბერს.

შპს „ედელვასი 2013“-ის დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/დ. ზაზიკაშვილი/

/ქ. მაისურაძე/